რეგისტრაციის მოწმობა № 1104

წვლილიანი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. დ. მატარ. დეპ. საბ. საკის ორგანო

№ 197 ოთხშაბათი 29 აგვისტო, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 175,000 მან. № 197

ნელეულნელი №-რი შეიცავს 6 გვერდს

რედაქცია ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივანი 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში 4.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—4.500.000 კოლექტ. ხელის მოწ. 3.000.000 მანეთი განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— გერმანიის ყოფილმა პრემიერმა ვირტმა, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა, განაცხადა, რომ მას მიზანთ ქონდა რუსეთის საგარო წრეებთან მოლაპარაკება.

— ამერიკელი ფინანსისტები აცხადებენ, რომ ოქროს ჩერვონეცი ყველაზე მტკიცე ვალიუტა ეჭირა ოსოფლიოში. ნიუ-იორკის და ლონდონის ბირჟებზე ჩერვონეცს დიდი ნდობით ეპყრობენ.

— ესპანეთში მოხდა ჟვარისკაცების აჯანყება, ჟვარისკაცებმა უარი განაცხადეს მაროკოში გამგზავრებაზე. აჯანყების ჩაქრობის დროს მოხდა დიდი სისხლის ღვრა.

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორასაგან

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲒᲐᲖᲗᲐᲠᲘᲡᲢᲘ,

რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 5—43.

ენკენ-სთვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელისმოწერა ქალაქში შინ მიტანით	4.000.000
„ „ „ ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	4.500.000
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	3.000.000
ერთი ეკზემპლიარი	175.000

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲜᲘᲐᲒᲐ“-Ს ᲤᲐᲡᲔᲑᲘ:

თვიური ხელის მოწერა	1.000.000
ერთი ეკზემპლიარი	400.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელისმოწერლებს 1 ენკენისთვიდან შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

0—4

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

(ყოფ. გაზეთრესტი), რუსთაველის პროსპექტი № 26, ტელ. № 5—43.

ცენტრალური კანტორა ამით აცნობებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ 1 **სექტემბრიდან** გაზეთ „კომუნისტ“-ში **განცხადებები მიიღება შემდეგი ფასით:**

ნონპარელის სტრიქონი პირველ გვერდზე	30 კ. ჩერვონცებით.
„ „ მეოთხე გვერდზე	15 კ. „
თეატრალური განცხადება არა უმეტეს 60 სტ.	30 პროც. დაკლებით.
სამგლოვიარო არა უმეტეს 30 სტრ.	4 მანეთი.
საექმო განცხადება თვეში	4 მანეთი.

ყველა განცხადებები არა ნაკლებ 10-ჯერ დაბეჭდილი—10 პროც. დაკლებით.

იქვე მიიღება განცხადებები იმავე წესით თვიურ ჟურნალ **„რევოლიუციის მატიანე“**-ში, **„კომუნისტის დროშა“**-ში და ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ **„ნიანგ“**-ში. (6—2)

აგიტაციის და პროპაგანდის საკითხები საქართველოში

I.

ᲐᲜᲢᲘᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐ, ᲗᲣ ᲐᲜᲢᲘᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ?

უკვე ერთი წელი იქნება, რაც ჩვენი პარტია გადავიდა შეტევაზე რელიგიის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში ჩვენ დავიწყეთ განსაოლიელება ყველა კონკრეტიულ ღონისძიებათა, რომლებიც მიმართული იყვენ სხვადასხვა ჯუფის რელიგიურ ცრუმორწმუნოებათა აღმოფხვრისაკენ. ჩვენ ერთნაირათ ვებრძოლით ქრისტიანულ, მაჰმადიანურ, ებრაელთა და სხვა რელიგიებს; ვქნიდით ანტირელიგიურ წრეებს, ვსცემდით ჟურნალებს და სხვ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, კითხვა ანტირელიგიური პროპაგანდისა კიდევ და კიდევ ისმება პარტიის წინაშე, განსაკთარებით პროვინციებში. ეს გასაგებია. ჩვენ ანგარიშს ვუშვებთ წარსულ გამოცდილებას და ვასწორებთ დეფექტებს. შევჩერდეთ ანტირელიგიურ პროპაგანდაზე საქართველოში.

რა უნდა ვიცოდეთ ჩვენ მტკიცეთ და რა ზომები უნდა მივიღოთ ანტირელიგიური პროპაგანდის სწორათ დაყენებისათვის?

რელიგია ციხე-სიმაგრე იყო ძველი, დახასიათებული ქვეყნისა. ეს ქვეყანა არსებობდა არა მარტო იმიტომ, რომ მის ხელში იყო ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა, არამედ იმიტომაც, რომ რელიგია თავისი აპარატით—ეკლესიით ხელს უწყობდა მას და გამოდიოდა მისი სულიერი ზეგავლენის მძლავრ გამტარებლათ დაჩაგრულ კლასებზე.

უფრო მეტი: ეკლესია იყო არა მარტო იარაღი მუშათა ᲒᲐ გლეხთა ჩაგვრისა მათი დამჩაგვრელების ხელში, არამედ ის თვით სჩაგრავდა მათ. არსებულ რეჟიმს რელიგია ყოველთვის აცხადებდა მუდმივათ არსებულათ და აუცილებელ ფენომენათ და ასაღებდა მას როგორც ღვთისაგან დაწესებულ რეალურ არსებულ ის ხმა-მაღლა არ [illegible]და პროტესტს გაბატონებულ[illegible]ების ძალდატანების წინა[illegible]ეროდალურ ხანაში ის ემსა[illegible]და ფეოდალურ ბურჟუებს. [illegible]კაპიტალისტური ქვეყანა ისევე საჭიროებს რელიგიას, როგორც ამას საჭიროებდა ფეოდალური ქვეყანა. მან შეიტანა ცხოლოდ რამოდენიმე კორექტივები მყელ ქრისტიანულ სარწმუნოებაში; მან შეცვალა ის რამოდენიმეთ ბურჟუაზიულ გემოზე. მაგრამ **არსებითად** რელიგია დარჩა ძველი, ისეთივე იარაღი ჩაგვრისა, როგორიც ის იყო უწ ნ.

კაპიტალისტებისათვის საჭიროა, რომ მასსები იყოს მუდამ სიბნელეში და მისცეს მათ დამახინჯებული წარმოდგენა მსოფლიოზე და ცხოვრებაზე. სახელდობრ, ამ **პრაქტიკულ** მიზნებისათვის საჭიროებენ ისინი რელიგიას, სახელდობრ ამიტომ არის ეს უკანასკნელი ატრიბუტი კაპიტალისტური საზოგადოებისა. **რელიგია არის ფანტასტიური ასახვა რეალური სინამდვილისა, რომელიც წმინდათა-წმინდათ არის გამოცხადებული კაპიტალისტების ინტერესებისათვის.** სხვანაირათ რომ ვსთქვათ, **ეს არის დამახინჯებული სინამდვილე, სინამდვილე, მისი იდეალისტური და სტატიკური გაგებით.**

ლიგიის შესახებ უფრო ნაკლებათ არ შეეფერება რელიგიურ იდეოლოგიას. რელიგიური იდეოლოგიაც კოლოსალური ასფეთქებელი ძალაა. ეგარგისი მიდგომით ანტირელიგიურ პროპაგანდისადმი, შეიძლება გამოვიწვიოთ დიდი აღელვება მასსებისა. არ შეიძლება ძალით ავკრძალოთ „შასსეი-ვასსეი“, არ შეიძლება გავრეკოთ ძალით ქუჩაში გამოსული სპარსელი მორწმუნენი. ეს გამოიწვევს მხოლოდ გაღიზიანებას და გაძლიერებს რელიგიურ ფანატიზმს ეს ჩვენთვის სასარგებლო არ არის. აქამდის ჩვენ არასოდეს არ მივსულვართ ანტირელიგიური პროპაგანდის დროს, მაგრამ მაინც დაშვებული იქნა ამ დარგში ზოგიერთი შეცდომები, რომლის თავიდან აცილება მხოლოდ ეხლა შეიძლება. რეფოლიუცია **— ეს რადიკალური ღონისძიებაა,** რომელიც ძირში სპობს ყოველივე ძველს. ის ვალდებულია მიეღოს რადიკალური ზომები: ჩვენ დავამსხვრიეთ ბურჟუაზიის ძლიერება, მაგრამ ჩვენ ამაზედაც კი დაგვჭირდა დიდიდრო წინასწარი მომზადებისათვის. აზროვნებაში რევოლიუციისათვის საჭიროა თავებში რევოლიუცია. ეს კი ფრიად რთული საქმეა. ჩვენ რელიგიას ვერას დროს ვერ მოვსპობთ, თუ ფრთხილათ არ ვიმოქმედეთ. არ შეიძლება ისე „ურა-იერიშებით“ მივიდეთ ღმერთებზე და ავაფეთქოთ ისინი, როგორც ამას ზოგან ახალგ. კომკავშირის წევრები შვრებოდენ. არ შეიძლება არც ადმინისტრატიული მეთოდით მოქმედება, რასაც ადგილი ჰქონდა ალაგ-ალაგ. ამის შესახებ ჩვენ აშკარათ ვლაპარაკობთ. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო აფრთხილებს ადგილობრივ ძალაუფლებას ასეთი მოქმედებისათვის. საქ. კომპარტიის ცეკა თავის ცირკულიარში წინადადებას იძლევა რათა ჯერ-როვანათ მივუდგეთ ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხს, რათა არ გამოვიწვიოთ მასსების უკმაყოფილება და გაღიზიანება. ერთის სიტყვით ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ამ პროპაგანდის მახ ნაჯი ფორმების წინააღმდეგ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ერთხელ და სამუდამოთ, რომ ჩვენი მუშათა ამ დარგში არის **მუშაობა ხანგრძლივი, მოლლეკულიარული. ჩვენ უნდა**

[illegible] **ერი კამპანიით, ზერელე აგიტაციით, არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. ჩვენ გვინდა ღრმა მუშაობა, ჩვენ გვინდა არა ანტირელიგიური კამპანია, არამედ ანტირელიგიური პროპაგანდა. ეს კი ერთი და იგივე არ არის.**

რა უნდა ვქმნათ ჩვენ ამ დარგში? როგორი უნდა იყოს ჩვენი პრაქტიკული ღონისძიებანი ანტირელიგიური პროპაგანდის შესაფერათ დასაყენებლათ?

ჩვენ უნდა მივიღოთ შემდეგი ზომები:

1) გამოვსცეთ სამეცნიერო მარქსისტული და პოპულიარული ლიტერატურა რელიგიის შესახებ, ქართულ ენაზე.

2) გამოვსცეთ საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო წიგნები (უფრო ბიოლოგიიდან და ასტრონომიიდან) ქართ. ენაზე.

3) გავატაროთ საკმაოთ ყველა არსებულ სამეცნიერო ჟურნალებში („კომუნიზმის დროშა“, „მომავალი“ და სხვ.) ანტირელიგიური პარტიული ხაზი.

4) გამოვსცეთ ანტირელიგიური ჟურნალი.

5) დავაარსოთ რელიგიის კრიტიკული გარჩევის წრეები.

6) დავაყენოთ საბჭოთა და პარტიულ სკოლებში რელიგიის ასევ გარჩევის საქმე.

ჩვენმა გამომცემლობამ „წითელ წიგნმა“ და სახელმწიფო გამომცემლობამ ყოველივე ზომები უნდა მიიღოს პირველი და მეორე ამოცანის გადასაწყვეტათ. ჩვენი ჟურნალების რედაქციებმა უნდა დააყენონ ანტირელიგიური პროპაგანდის განყოფილება შესაფერისათ. იმის ნაცვლათ რომ იბეჭდებოდეს კოსოლის („მომავალი“) და სხვ წერილები ფილოსოფიაზე, მეტაფიზიკაზე, კანტიანიზმზე, მატემატიკაზე, **საჭიროა და აუცილებელი** რელიგიის საკითხების ყოველმხრივი გაშუქება.

პარტიამ დაისახა მძიმე და სერიოზული ამოცანები ანტირელიგიური პროპაგანდით. პატიულ ორგანოებმა ყოველმხრივ და ზედმიწევნით ხელი უნდა შეუწყონ ამ ამოცანების გადაწყვეტაში მას.

ანტირელიგიური წრეების შექმნა საჭიროებს დეტალურ გაშუქებას. მუშათა და გლეხთა შორის ანტირელიგიური წრეები ერთნაირი არ შეიძლება იყოს. გლეხთა წრეებს უფრო საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ხასიათი უნდა ქონდეს, ხოლო მუშათა წრეებს კი საზოგადოებრივ-სამეცნიერო.

რელიგიური ცრუმორწმუნოება აღმოფხვრილ იქნება, როდესაც ჩვენი მორწმუნე გლეხები და მუშები გაიგებენ თავის ადგილს მსოფლიოში და საზოგადოებაში. რელიგიური ცრუმორწმუნოების აღმოფხვრა ნიშნავს თავისი საკუთარი უვიცობის და ფუოდანარობის აღმოფხვრას. ეს ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. [illegible] ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. იერიშით მისვლა ცოხელ, ღმერთებზე, არის უფიზარეს ყოველისა იერიშით მისვლა ცოდველ ქვეყანაზე, მიწიერ ღმერთებზე. როდესაც ჩვენ მოვსპობთ ჩვენს უვიცობას და უცოდინარობას, ამით ჩვენ მოვსპობთ ძირიან-ფესვიანათ რელიგიასაც.

მიეცით მორწმუნე მუშებს და გლეხებს ცოდნა და გაგება ყოველივე იმის, რაც მის გარშემო არის და მაშინ ისინი იტყვიან: ჩვენ არა გვრწამს არც ღმერთი და არც ეშმაკი! მიეცემა ამ ცოდნისა მორწმუნეთადმი არის **საუკეთესო** და **უანალოგესი** გზა რელიგიის მოსპობისაკენ, რაც შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს.

კ ორგველიძე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ

III *).

ეხლა შევეხოთ 2 აპრილის დეკრეტით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათს ბუნებას და ტეხნიკას.

აღნიშნული დეკრეტით პირველი გადასახადი არის გადასახადი შენობებზე ქალაქებში. გადასახადი შენობებზე თავისი ბუნებით განსხვავდება შემოსავლის კვალობაზე გადასახადისაგან. შემოსავლის კვალობაზედ გადასახადი ედება ამა თუ იმ პირის წმინდა შემოსავალს, რომელიც მას მიუღია განსაზღვრულ პერიოდში, შემოსავლის ყველა წყაროებიდან. მაგალითად, სახლის პატრონმა თავის წლიურ შემოსავალში უნდა უჩვენოს ხარჯთამკრეფ ინსპექციას, სხვა შემოსავალთა შორის, სახლის სუფთა შემოსავალიც და ამ გზით სახლის შემოსავალიც იბეგრება სახელმწიფოს სასარგებლოდ. მაშასადამე შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის ობიექტი არის კერძო პირის მთელი შემოსავალი, რა წყაროებიდანაც არ უნდა სდგებოდეს იგი. სხვა ხასიათის გად სახადებია რეალური გადასახადები. რეალური გადასახადი სრულიად არ სცნობს პირს, იგი ეხება მხოლოდ საგანს, ქონებას, მამულს. ამ გადასახადით იბეგრება არა ის შემოსავალი, რომელიც ამა თუ იმ მამულს აქვს, მისი პატრონის შნოსა და უნარის გამო, არამედ ის შემოსავალი, რომელიც შეუძლიან მისცეს მამულმა ჩვეულებრივ დროს, მისი დღეკვანდელი მდგომარეობის მიუხედავად.

გადასახადი შენობებზე თავის ბუნებით ეკუთვნის ამ მეორე ჯგუფს გადასახადებს, ე. ი. რეალურ გადასახადებს.

მაშასადამე შენობებზე გადასახადის შემოღების დროს ადგილობრივმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს არა შენობის ფაქტიურ შემოსავალით **ᲐᲠᲐᲛᲔᲦ** შენობის შესაძლო შემოსავლით მაგალითად სახლის გაუქირავებელი ნაწილი შემოსავალს არ აძლევს პატრონს, მაგრამ კანონით სახლის ეს ნაწილიც იბეგრება იმის მიხედვით, თუ როგორ ფასობს თანაბარ პირობებში მყოფი მეზობლის ასეთივე ბინა. ასევეა თვით იმ ბინის შეზახებ, რომელშიც სცხოვრობს თვით სახლის პატრონი. მისი ბინაც შეფასებულ უნდა იქნას თანაბარ პირობებში მყოფ სხვა ბინის ფასების მიხედვით. დღეს მოქმედ კანონით ბინების გაბეგვრის საფუძვლად შეიძლება აღებულ იქნეს შენობის მთელი შემოსავალი ან მისი მატერიალური ღირებულება. ადგილობრივ ორგანოთა ფინანსიურ პოლიტიკაში ეს დიდი ნაბიჯია წინ.

უნდა ავღნიშნოთ, რომ შენობებზე გადასახადი ქალაქებში არსებობდა წინათაც, ეს განსხვავებით, რომ წინათ იბეგრებოდა შენობა და შენობით დაკავებული მიწა, დღეს კი იბეგრება მხოლოდ შენობა, რადგან მიწა სახელმწიფოს ან ადგილობრივ ორგანოს საკუთრებაა.

თვითმპყრობელობის დროს არსებული კანონით შენობები იბეგრებოდა მამულის წმინდა შემოსავალი, ე. ი. მამულის მთელი შემოსავალი ხარჯების გამოკლებით, ღირებულების მიხედვით მამულების დაბეგვრის ქალაქებში გაურბოდნენ, მთავარი მიზეზი დიდ ბეღლების მიხედვით დაბეგვრის უარყოფისა უნდა ვეძიოთ ძველი ცენზიანი საბჭოს არსებაში, რომელიც მესაკუთრეთაგან ამორჩეული, მესაკუთრეთა ინტერესებს სათუთად ეპყრობოდა და ყველა იმას უარყოფდა და მესაკუთრეთა, უკეთ რომ ვსთქვათ, მათ საკუთარ ჯიბეს აზარალებდა, შემოსავალის მიხედვით გაბეგვრის დროს, ძველის კანონით, მხედველობაში მიღებულ უნდა ყოფილიყო მამულის მთელი შემოსავალი, შემდეგი ხარჯების გამოკლებით: 1) სახლეშეფო და საერობო ბიუჯეტებზე, 2) მამულის გამგებლობაზე, დაცვაზე, დაზღვევასა და შეკეთებაზე გაწეული ხარჯები, 3) ოჯარა, თუ შენობა იჯარით აღებულ მამულზედ იყო აგებული, 4) ტრა-

ტუარის და ქვაფენილის შენახვის და შეკეთების ხარჯები და 5) იმ შესაძლო ზარალის გამოკლებით, რომელიც შეიძლება მოვიდეს სახლის პატრონს ბინის გაუქირავებით.

აქ აღნიშნულ ხარჯების გამოკლება დიდს სიძნელეს წარმოადგენდა და კანონში ეს მხოლოდ იმიტომ იყო შეტანილი, რომ ის დაუშრეტელი წყარო იყო იმ უკეთმართ პოლიტიკის მასაზრდოებელი, რომელსაც აწარმოებდნენ ძველი ქალაქის მამები.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ძველი კანონმდებლობის უკეთმართობა ამ დარგში ავიღოთ მაგალითები.

ძველის კანონით ქალაქის საბჭოს უფლება ჰქონდა წინასწარ დაეწესებინა სახლის მთელი შემოსავლის რამდენი პროცენტი უნდა გადა დოს აღნიშნული ხარჯების დასაფარავად მაგალითად ტფილისში ამ ხარჯების დასაფარავად გადადებული იყო 30 პროც. სახლის მთელი შემოსავლისა, ე. ი. შემოსავლის 30 პროც. არ იბეგრებოდა.

ავიღოთ სახლი, რომელსაც წლიურათ 300 მანეთი ჰქონდა შემოსავალი, ასეთი სახლი ხარჯავდა წელიწადში:

მეეზოვეზე—3 სახლზე ერთი მეეზოვე, თვეში თუმნით, ერთი სახლისათვის—40 მან. ქუჩისა და ეზოს ფარანი—10 მან. კვამლსადენის გაწმენდა—5 მან. ნაგვის გადასაყრელი—25 მან. ტროტუარის და სახლის შეკეთება—75 მან. დაზღვევა და გადასახადები—10 მან. ზარალი ბინის გაუქირაობით—20 მან. სულ—185 მ. მიუხედავათ იმისა, რომ აქ ნაანგარიშევი ხარჯები მეტად მცირეა, მაინც მთელი შემოსავლის 6 პროც შეადგენდა არა 30 პროც. როგორც გადაწყვეტილი ჰქონია ტფილისის ქალაქის საბჭოს.

ავიღოთ მეორე შემთხვევა, სახლი, რომელსაც წლიური შემოსავალი 10.000 მანეთი ჰქონდა, ასეთი სახლი ხარჯავდა წელიწადში:

მეეზოვე საკუთარი—120 მან. ქუჩის და ეზოს ფანარი—10 მან. კვამლსადენის გაწმენდა—50 მან. ნაგვის გადასაყრელი—240 მან. ტროტუარის და სახლის შეკეთება 500 მან. დაზღვევა და გადასახადები [illegible] 100 სულ 1520 მან.

აქ ეს ხარჯები თითქმის ათჯერ გადადებულია მცირე შემოსავლიან მამულთან შედარებით და შეადგენს მამულის მთელი შემოსავლის მხოლოდ 15 პროცენტს.

მაშასადამე მცირე შემოსავლიან მამულის მთელი შემოსავლის 6 პროც. უნდა ყოფილიყო განთავისუფლებული გადასახადისაგან, ნამდვილად კი თავისუფლებოდა მხოლოდ 30 პროც. დიდი შემოსავლის მამულის მთელი შემოსავლის 15 პროც უნდა განთავისუფლებულიყო გადასახადიდან, ნამდვილად კი თავისუფალი იყო 30 პროც. ამ მაგალითიდან სჩანს, რომ აღნიშნული გადასახადის მთელი სიმძიმე ხელოვნურად გადატანილი იყო მცირე მამულების პატრონებზედ და განსაკუთრებით იმ მამულებზე, რომელთა პატრონებს საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა ჰქონდათ, მამულის სიმცირის გამო.

მაგრამ ეს ბოროტება მარტო ტფილისში არ იყო.

როგორი თვითნებობა არსებობდა მთელი შემოსავლიდან გამოსაკლებ ხარჯების აღრიცხვაში სჩანს შემდეგი ქალაქების ოფიციალურ ანგარიშებიდან. ქალაქები: ვიტებსკი, ორიოლი, პენზა და ელისავეტოგრადი, რომ-

*) ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ. „კომუნისტ“-ს გუშინდელ №-ში მოთავსებულ ჩვენ წერილში: „სასოფლო-სამეურნეო გადასახადი საქართველოში ადგილობრივი ბიუჯეტის თვალსაზრისით“—შეგვეპარა ერთი შეცდომა. სწერია: „თუ დასხლეტებით ვიანგარიშებთ ფუთ ხორბალს 3.000,000 მანეთად, საქართველომ უნდა მისცეს—12.000.000.000.000 მან., რომლის მეოთხედი შეადგენს სამ ტრილიონ მანეთს, ე. ი. საშუალოთ თითო მაზრაზე 300.000.000.000 მანეთის“. უნდა იყოს ამ უკანასკნელი ციფრის მაგიერ: 150,000.000.000.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

გერმანიის კომპარტიის პრესტიჟის ზრდა ნათლად გამოიჩეკა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის უკანასკნელ სხდომის ყველა დისკუსიებსა და დადგენილებებში.

ემყარებოდა რა ამ ძალაზე, სხდომამ თავის დღის წესრიგში, მოკლე შინაარსიანი კამათის შემდეგ მიიღო ნათელი დადგენილებანი. ოპოზიცია, რომელმაც თავი ირინა ცეკას ამ სხდომაზე, იყო მხოლოდ ცალკე პიროვნებების უმწეო გამოძ ხილი. სერიოზულ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. პარტია ერთსულოვანი და შეკავშირებულია. ყველაზე უკეთესად ეს ჩამოაყალიბა ოპოზიციის ლიდერმა ანტ. რუტ ფიშერმა.

ეს დარაზმულობა არის ფრიად საჭირო ასეთ საშიშარ მდგომარეობის დროს. ცეკამ ერთხმად მიიღო კომიტერნის აღმასრულებელ კომიტეტის გაფართოებულ პლენუმის მოხსენება.

აღმასკომის წერილი ცენტრალურ

*) ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ. „კომუნისტ“-ს გუშინდელ №-ში მოთავსებულ ჩვენ წერილში: „სასოფლო-სამეურნეო გადასახადი საქართველოში ადგილობრივი ბიუჯეტის თვალსაზრისით“—შეგვეპარა ერთი შეცდომა. სწერია: „თუ დასხლეტებით ვიანგარიშებთ ფუთ ხორბალს 3.000,000 მანეთად, საქართველომ უნდა მისცეს—12.000.000.000.000 მან., რომლის მეოთხედი შეადგენს სამ ტრილიონ მანეთს, ე. ი. საშუალოთ თითო მაზრაზე 300.000.000.000 მანეთის“. უნდა იყოს ამ უკანასკნელი ციფრის მაგიერ: 150,000.000.000.

ლებშიაც მცხოვრებთა რაოდენობა ერთნაირი იყო 60270 სული, ერთგვარ პირობებში იყვნენ ვაჭრობა მრეწველობის მხრივ; დასაფასებელ გადასახადს ერთსა და იმავე 1 პროც ნორმით, იძლეოდნენ: ვიტებსკი 60.000 მ. ანუ სულზედ დაახლოვებით 1 მანეთს, ორიოლში 38.000 მ. ანუ სულზედ 53 კ. პენზა 20.000 მ. ანუ სულზედ 33 კ. ხოლო ელისავეტოგრადი 18 მან. ანუ სულზედ 30 კაპ. სარატოვი ორჯერ დიდია ტფერზედ როგორც მცხოვრებთა რაოდენობით, ისე ტერიტორიით და ს ვაჭრო-სამრეწველო ნაშენებლობით შესაფასებელი გადასახადი კი პირველში მხოლოდ ორი ათასი მანეთით აღემატა იყო; ვინემ მეორეში.

ასეთი უკეთმართობა იყო ამ გადასახადის გარეშე, ცენზიან საბჭოს მიერ შექმნილი:

დღეს ამ უკეთმართობას ბოლო მოეღო 2 აპრილის დეკრეტის გამოცემით. ამ დეკრეტით იბეგრება, თუ დაბეგვრის საფუძვლად აღმასკომის მიერ მიღებული იქნება შენობის შემოსავალი, არა წმინდა შემოსავალი არამედ მთელი შემოსავალი ხარჯების გამოუკლებლივ. მართალია დღევანდელი შემადგენლობა ადგილობრივ მეურნეობის მესვეურებისა სრულიად ეწინააღმდეგება თავისი კლასიური ბუნებით ყოფილ ცენზიან საბჭოს წევრების ბუნებას, მაგრამ კანონმდებლობის ღირსება სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ იგი სამართლიანია, თანაბარია და ბოროტმოქმედების (სხვა სახელს ვერ უწოდებთ ძველი საბჭოს მოქმედებას შენობების დაბეგვრის საქმეში) შესაძლებლობას სპობს.

მაგრამ შემოსავლის მიხედვით დაბეგვრას სხვა დიდი ნაკლიც აქვს.

საქმე იმაშია, რომ შენობის შემოსავალი ხშირათ არ შეეფერება მის ღირებულებას და ღირებულება შემოსავალს, ორს სხვადასხვა ღირებულების მამულს შეიძლება ერთნაირი შემოსავალი ჰქონდეთ და მაშასადამე შემოსავლის მიხედვით ერთნაირად დაიბეგრებიან.

სახლის შემოსავლიანობა დიდად დამოკიდებულია თვით სახლის, შენობის მდგომარეობაზე. ავიღოთ მაგალითად დიდი სახლი დიდის ღირებულებისა, მაგრამ მოძველი, უფუნქციოთ მიტოვებული, ამ სახლის შემოსავალი არ შეიძლება დიდი იყოს. სამაგიეროთ მეორე სახლი პატარა, ნაკლების ღირებულებისა, მაგრამ კარგად მოვლილი მეტს შემოსავალს მისცემს.

ან კიდევ ორი ერთგვარი ღირებულების სახლია, პირველი კარგად შენახვის გამო დიდს შემოსავალს იძლევა, მეორე კი მცირეს, რადგან მოვლილი არ არის. შემოსავლის კვალობაზედ გაბეგვრის დროს პირველი მეტს გადაიხდის, რადგან ის კარგად ხელის სახლს და მეტი შემოსავალი აქვს, მეორე კი იხდის მცირე გადასახადს; ამგვარად შემოსავლის კვალობაზედ შენობების გაბეგვრის დროს პრემია ეძლევა დაუდეგარ მესაკუთრისა, მისი დაუდეგრობისათვის.

აღნიშნულ უხერხულობასაც სძლია ახალმა კანონმდებლობამ და აღმასრულებელ კომიტეტს უფლება მისცა შენობების დაბეგვრის, თუ აღმასკომი დაადგენს, ღირებულების მიხედვით. ამგვარად შენობების ღირებულების მიხედვით დაბეგვრა სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლის იარაღათ ხდება და ამ ბრძოლაში მხოლოდ აღმასრულებელი კომიტეტი მოიგებს.

ამ გადასახადის ტეხნიკაზე შემდეგ წერილში.

ხ. *)

„ᲠᲣᲡᲘᲗ-ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ“

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐᲡ“ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 26 აგვისტო. „იზვესტია“ წოწინავე წერილში „რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის გარშემო“ სწერს: „კარახანის შორეულ აღმოსავლეთში ჩასვლის გამო იაპონიის პრესა ავრცელებს ხმებს რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობის შესახებ. იაპონია აყენებს პირობებს, რომელიც ეარყო იოფემ, მაგრამ ის, რაც მიღებული იყო იოფეისათვის, მიუღებელია კარახანისათვისაც. საბჭოთა რუსეთი ვერ იტყვის უარს იმ ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც მიაყენა რუსეთის იაპონიის ინტერვენციამ, თუ იაპონია არ იტყვის უარს ნიკოლაევსკის ამბების გამო ანაზღაურების მოთხოვნაზე. იაპონელების მიერ ჩრდილოეთ სახალინის დაკავების ჩვენ რუსეთის უფლებების დარღვევათ ვთვლით.

ჩვენ საბჭოთა რუსეთის შეურაცხყოფათ ვთვლით ვილაპარაკოთ იაპონის ცაზე მიიღოს განსაკუთრებული პრივილეგიები შორეულ აღმოსავლეთში ვაჭრობისათვის. იაპონიამ ვერ შეაჩერა რუსეთში სამოქალაქო ომის შეწყვეტა და იქ სამეურნეო აღმშენებლობის დაწყება.

ინგლისი იძულებული გახდა დაედვა ხელშეკრულება რუსეთთ ნ, იაპონია კი ერთ ადგილზე იტკეპნება და იმეორებს დრომოჭმულ ფორმულებს, რომლებიც ართულებენ რუსეთ-იაპონიის ურთიერთობას. საეჭვოა, რომ იაპონიამ მოიგოს ისეთი პოლიტიკით. რუსეთთან-სავაჭრო ურთიერთობა უფრო მეტად არის საჭირო იაპონიისთვის, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოსათვის. რადგან იაპონია დაინტერესებულია რუსეთის და შორეული აღმოსავლეთის ბაზრით.

მოსკოვში, საკავშირო გამოფენაზე იაპონიის ეკონომა-მრეწველობის წარმომადგენლების ჩამოსვლამ დიდი როლი უნდა ითამაშოს რუსეთ-იაპონიის მომავალ ურთიერთობაში. იაპონია გაეცნობა რუსეთის ნამდვილ მდგომარეობას და გამოიყენებს აქედან შესაფერ დასკვნებს. იაპონია მიხვდება, თუ როგორ სძლებს რუსეთი თავის შინაურ უკანასკნელ დაბრკოლებებს და გამოდის მსოფლიო ასპარეზზე როგორც ერთ ერთი საერთაშორისო ძალა და ვერ დაუშვებს, რომ მას ცალმხრივი მოთხოვნილებები წარუდგინოს.

ჩვენ არ ვართ რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების განახლების წინააღმდეგი, მაგრამ იმ პირობით, თუ იაპონია უარს იტყვის თავის ცალმხრივ მოთხოვნილებებზე და სათანადო პატივით მოეპყრობა რუსეთის ინტერესებს შორეულ აღმოსავლეთში“.

რად

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია

ყოფ. მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობა

(სტენოგრაფიული ანგარიში)

მეოერე სხდომა

(სხდომის დასასრული)

თავმჯდომარე: დაიხუროს ორატორების სია ჩაწერილია 19 ორატორი, და წინადადება არის დაიხუროს. სხვა წინადადება არ არის.

დელეგატი (ადგილიდან): ვინაიდან ყველა ორატორი თითქმის ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ — ჩემი წინადადებაა ილაპარაკონ მხოლოდ მოწინააღმდეგეებმა, თუ ასეთები არიან.

ფარნიევი: მე მგონია, ჩვენ არავის აუკრძალავთ ლაპარაკს. სხვადასხვა მიზეზებს რომ თავი დავანებოთ, მარტო იმიტომ უნდა ვილაპარაკოთ, რომ ჩვენი ვინაობა გამოვარკვიოთ. რაც უნდა ერთგვარად ილაპარაკონ ორატორებმა, რაც უნდა თავის ვინაობა სთქვან, ილაპარაკონ წარსულ რევოლიუციონურ მოღვაწეობაზე ამა თუ იმ ახნანგისა, ამას თუ შემდეგ ჩაუკვირდებით და წავიკითხავთ ყველა ნალაპარაკებს, დავინახავთ, რომ არის სხვადასხვა აზრი, სხვადასხვა სიტყვით გამოთქმული. მაშასადამე, კამათის შეწყვეტა არ შეიძლება. ერთად ერთი წინადადება არის მისაღები, რომ შევწყვიტოთ ორატორების სია.

თავმჯდომარე: შეიძლება თქვენ ხსნით წინადადებას კამათის შეწყვეტის შესახებ. (ხმა — ვხსნით).

ხმა ადგილიდან: წაიკითხეთ, ვინ არის ჩაწერილი.

თავმჯდომარე: თოფაძე, თედეიშვილი, დოლიძე, ფარნიევი, მახარაძე, თევზაძე, ხერია, ნიკურაძე, ბაზია, სულაბერიძე, ასლამაზაშვილი, სუხიშვილი, გორდაძე, გუნბრიევი, ბესაშვილი, მაჩაბელი, ნარაკიძე, მორჩილაძე; ამრიგად, თქვენ მოისმინეთ სია ორატორებისა. მაშასადამე, არის შემოტანილი წინადადება შეწყდეს ჩაწერვა. საწინააღმდეგო არავის უთქვამს. მაშასადამე, ნება მიბოძეთ მიღებულად ჩავთვალო ეს.

სიტყვა ეკუთვნის თოფაძეს.

ამხ. თოფაძე: ამხანაგებო, აქ ჩვენ შევეროვდით იმისთვის, რომ გადავსინჯოთ წარსული ტაქტიკის გეზი, გავასწოროთ წარსული შეცდომები და გამოვასწოროთ ისინი. ეი სწორედ კომუნისტურმა პარტიამ რომ გადასინჯა თავისი მოქმედება, გარეკა ის, რაც გასარეკი იყო, ეხლა ისინი გამარჯვებული არიან და დღეს, როდესაც ჩვენ აქ შევიკრიბენით და და ვკამათობ გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები, რომელიც ჩვენ ჩავიდინეთ ინტელიგენციის წყალობით, ეს არის ჩვენი გამარჯვება. შეიძლება ეს იყოს ერთი წლის შემდეგ, შეიძლება რომ ვიდღესასწაულოთ კომუნისტებთან ერთად ეს გაერთიანება და ლეენინდელი ნაბიჯი იქნება შეფასებული მაშინ, როცა კომუნისტებთან ერთად მივანგრევ-მოვანგრევთ ევროპის ბურჟუაზიას და კაპიტალურ რევოლიუციას მოვახდენთ. და ამასთვის საჭიროა ამოუდგეთ კომუნისტებს გვერდში და ვიმუშაოთ მათთან ერთად საერთაშორისო კაპიტალისტურ ფრონტის დასამხობად. ამასთან ერთად ის პირები, ვინც აქედან ევროპაში გაიქცენ, მე-2 ინტერნაციონალს თავი შეაფარეს, მაგრამ იქიდან საით გაიქცევიან — ეს არ ვიცით. აქ გამოვიდა მურმანოვი და განაცხადა ის, რასაც აცხადებს ცეკა. — ჩემ მუშა ვარ და დარწმუნებული უნდა იყოთ დიდი ადგილი არ მქონია. მქონდა საშუალება დამფუძნებელ კრებაში შევსულიყავი, მაგრამ უარს ვაცხადებდი და კავშირში ვრჩებოდი. ეხლაც იქ ვმუშაობ. მაგრამ მე ვიტყვი, რომ ჩემზედ ჩეკა და სხვადასხვა პადლები ვერ იმოქმედებს. რაც შეიხება მურმანოვს თუ ის არის ცეკის დავალებით გამოგზავნული და ეს დავალება მას შეუსრულებია — ეს მე მესმის, იმიტომ, რომ ჩემთვისაც არა ერთხელ მოუციათ ასეთი დავალება, არ ვიტყვი, რომ ცეკას სახელით, მაგრამ თუ საქმე რა ყოფილა საქმე გამიკეთებია. ეი როდესაც ბათუმიდან ჩამოვდიოდი ღამის 12-ს. ერთი დიდი ჩემოდანი გამომატანეს ბათუმიდან, არ ვიცოდი, თუ რა იყო შიგ. შემდეგ, როდესაც ჩამოვედი და სეფ დეგდარიანს გადავეცი, თურმე ფულით სავსე ყოფილა. ეს ჩემოდანი სეითონ დარჩა და მან რამდენიმე მილიონი მე მომცა, და დავალებაც მომცა, რომ პარტიაში სამუშაოთ მომეხმარა. ჩამოვედი თუ არა აქ, მომმართეს მეც ზოგმა პარტიულმა გაეროვებულმა ამხანაგებმა. ბევრი ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა და იმას მოვახმარე ბოლოს, დაიწყეს ამ ჩემოდნის ფულის დარიგება. ეი ამითი მე ბინდი ვსთქვა, ვინ არიგებდა ფულს, მე ეს მოვალეობა ცოტად თუ ბევრად შევასრულე და აცხანაგებს ეკონომიური დახმარება აღმოეჩინე. მაგრამ ორი კვირის შემდეგ სეითი და სხვები ჩამოვიდნენ და ამ ფულს დაიწყეს ბნევა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ დღემდის ეს პარტია არ დაშალა, და დღემდის არ მოხდა ჩვენი აქ მოსვლა. დღესაც, თუ მურმანოვი ფეხშიშველი არ გამოდის აქ, ეს სწორედ ამ ფულის ბრალია. მე მესმის ეს, აცხანაგო მურმანოვო, მეც წინეთ მომცეს წინადადება, როგორც კავშირში მოუშვავს, თავი მოიკატუნე და ჩვენი საქმე აკეთო, იქ დარჩიო, მაგრამ მე ეხლა აღარ ვტყუვდები. მე 14 წლიდან მატყუებდნენ. აქ ზის ამხ. ჯამაგირს გვაძლევენ, კაპიკსაც გვიკლებენ. აგრეთვე მშობიარობის დროს. აგრეთვე დასტრეხეა მუშებისა კარგათ არის დაყენებული ეს ყველაფერი მაიძულებს მე შემიდარებია აწმყო წარსულთან და გამომეტანა დასკვნა, თუ რომელს მივეკედლო. ყველაფერი კარგათ არის და ამიტომ უნდა გავაღონიეროთ ეს ძალა უფლება აქ ილაპარაკეს მოღალატეობაზე და მერე საერთო კენჭის ყრაზე, მურმანოვმა. კენჭის ყრის უფლება რომ მიეცა რუსის მეუკეკეისათვის, იმათ კედლები ავსილი აქვთ ხატებით, რომელსაც მეტი ხატი აქვთ ის უკეთესი მეუკეკია. ასეთები ყველა „ცარ-ბატუშკას“ არჩევენ. ეი მათთვის გამოაცხადეს დიქტატურა და დიქტატურისათვის უნდა ეცათ მათ თაყვანი. მაშინ გაიმარჯვა რუსეთის რევოლიუციამ. ჩვენ ვხედავდით რომ გაგრძელებულიყო კოალიციონური მთავრობა რუსეთში, ის აღეკსეევს და კორნილოვს ვერ გაუმაგრდებოდა. მაგრამ კომუნისტებმა თავის დიქტატურით დაამარცხეს ისინი. იმ შავ ნაგაზს, ნიკოლოზის ფანდარმერიას ეხოლოდ კომუნისტებმა მოსტეხეს თავი და მოიშორეს თავიდან, ეს დიდი მტერი მუშათა კლასისა. ჩვენც ასე მოვეჭრით თავს საერთაშორისო იმპერიალიზმს და გამოვაგდებთ მას ევროპიდან. აქ ლაპარაკი იყო, რომ ინტელიგენცია არ არის სანდოო, მაგრამ უიმათოთ არ ვარგივართ. ისიც უნდა ვთქვათ, ინტელიგენტიც არის და ინტელიგენტიც, მას, გარეევა უნდა სიფრთხილით და სადაც კი შეიძლება მუშამ გაკეთოს. საქმე — იქ მუშა უნდა იყოს. ასე შვრებიან კომუნისტები. ჩვენ სამი თვე ვიარეთ ბენია ჩხიკვიშვილის საძებრათ. გვეგონა, რომ გარდა იმისა ვერავინ გაიკეთებს ქალაქის საქმესო, მაგრამ ლადო დუშბაძემ და ლადო სუხიშვილმა უკეთესად გააკეთეს. ეი მაგ. პუშკინის ბაღთან წინეთ ვერ მოახერხეს ყველა ინჟენერებია და ტეხნიკებით და ეხლა კი ლადო დუმბაძემ მშვენივრად გაიყვანა ტრამვაი. აგრეთვე ტრამვაი გაყვანილია ფუნიკულიორზედაც, რომელიც დიდ შემოსავალს იძლევა. კომუნისტები ამ საკითხებში მართლაც უპირატესობას აძლევენ მუშებს. ინტელიგენციაც გვინდა როგორც თეორეტიკოსები და გზის მაჩვენებლები, მაგრამ ჩვენ ეს გზა უნდა ავსწონ-დავსწონოთ და იმას უნდა დაეჯეროთ, რომელიც მოგვეწონება. აქ ლაპარაკობენ ამხანაგები, რომ აქედან, დღეიდან ამ პარტიას ვკმობთ, შემდეგ რა ვქნათო. მაგრამ ზოგმა ამხანაგებმა შეიძლება არ ისურვოს სხვა პოლიტიკური პარტიაში შესვლა, ზოგიერთს კი სურს. აიღოს დაგდებული თოფი, რომელიც შესავსეა ამდენხანს და წავიდეს საერთაშორისო მტრის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს საკითხი უნდა გადავაწყვიტოთ აქ. მეც ასე მგონია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისეთი სტატიანები ვისაც ძველ ბრძოლაში გაუტარებიათ დრო, იმათ უფრო მეოთხე — გავიხსენოთ ნოე რამიშვილის ნაწერები „ისტორიული მატერიალიზმი“. იქ არის ნათქვამი, რომ თვითეული მუშა თვითონ უნდა სწყვეტდეს კითხვას თავის კლასის ინტერესების მიხედვით და ყველა ჩვენი ლიდერების ნათქვამი ჩვენ გულწრფელად გეწამდა. ნათქვამი იყო თუ ნაწერი ყველა ჩვენ გულში იყო აღბეჭდილი და არავითარი ღალატი ჩვენ წარსულ მოქმედებაში და ცხოვრებაში არ ყოფილა მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ საქმეში. გაამართლეს თუ არა ცხოვრებაში თავისი ნათქვამი. ჩვენ ვხედავთ, რომ წეთელ დროშას ჩვენი სიხლით შეღებილს, რომელსაც ვერავინ ამოშლის ჩვენ გულიდან, ეს დროშა ჩამოსხნეს სასახლიდან, ის დროშა, რომელიც აფრიალია მუშათა კლასმა. მე ამ ბავს არ მოგიყვებით; ყველა თქვენგანმა იცით, რომ ეს იყო დამფუძვრების დადგენილება, სადაც იყო ჩვენი წარმომადგენლები 109 და 18 თუ 19 ნაციონალ-დემოკრატი და სხვა კლასების წარმომადგენელნი. მართალია, უმრავლესობა ჩვენ ვიყავით, მაგრამ დაგვძლიეს უმცირესობამ. ეი, რას ჰქვია შეთანხმებული მუშაობა და წეთელი დროშა, რომელიც ჩვენ გულში იყო აღბეჭდილი, ჩამოშვებული იყო ძირს. გადავიდეთ იმ სიტყვებზე, რომელიც მოვისმინეთ ჩხენკელის მიერ პირველ რაიონმი ძმათა სისხლის შესახებ. ამის მოწმენიც ჩვენ ვიყავეთ. გავიხსენოთ ის ვერდენი, რომლის შესახებაც ორდანია აცხადებდა დაიღვარა აქ სისხლი თუ არა. ისინი გვპირდებოდნენ, არ მოხდება ძმათა შორის სისხლის ღვრა, არამც და არამცო, მაგრამ ეს სისხლი მაინც დაიღვარა და ვისი სისხლი დაიღვარა. მუშათა კლასისა. და ყოველივე ის, რაც ხდებოდა ჩვენს ირგვლივ, გარშემო იმპერიალისტურ გენერლების დათითებით და ხელმძღვანელობით, როდესაც ჩვენ წინააღმდეგნი ვიყავეთ, და ერთხელ და სამუდამოთ ეხლაც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი კლასიური ინტერესების მიხედვით ჩვენ, მუშები, ეჭრიდით კითხვას, რომელიც ეხებოდა ჩვენ საქმეს. მაგრამ ჩვენი მეთაურები ამას არ შერებოდნენ და ამიტომ 1919 წელში დაიბადა „სხი

ᲠᲝᲢᲝᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲒᲐᲖᲔᲗ

ახალი ფაზა, მაშინ არ არის საჭირო თანამშრომლობა, მაშინ საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურა. მარქსიც ყოველთვის ასე ამბობდა. დასაწყისში, როდესაც ბურჟუაზიული რევოლიუცია ხდება, როდესაც ფეოდალებს ეკიდებიან, —საჭიროა ბრძოლა დემოკრატიისათვის, ხოლო, როდესაც დგება პროლეტარული რევოლიუცია, მაშინ საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურა. აი როგორ ამბობდა ის, როდესაც ბურჟუაზ.ᲔᲑᲘ წვრილი ბურჟუაზია, ოპორტუნისტები გამოიფიტენ თებერვლის რევოლიუციის დროს, არაფრათ არ გამოდგენ და თავისი ყოველთა უვარგისი ტაქტიკით მუშათა და გლეხთა აჯანყება გამოიწვიეს თავის წინააღმდეგ. მაშინ ბოლშევიკებმა დაინახეს, რომ დემოკრატია უკუდგებულ უნდა იქნეს და საჭირო იყო პროლეტარიატს აეღო ხელში ძალა-უფლება. მაშ, აი როგორაი, ამხანაგებო, საქმე. საქმე არც ისე მარტივია, როგორც ამბ. ფარნიევი ამბობდა. ეს უნდა დავიხსომოთ. იყო ჩვენში დრო, —თებერვლის რევოლიუცია, როდესაც ბოლშევიკები ამბობდენ: „ჩვენ მოვითხოვთ დამფუძნებელ კრების მოწვევასო“. ეს არ იყო მოტყუება. მაშინ ისინი დემოკრატიულ რესპუბლიკას მოითხოვდენ, მაგრამ როდესაც დემოკრატ. ხელისუფლება გაკოტრდა, მაშინ საქმე უნდა გამართულიყო პირდაპირ პროლეტარულ დიქტატურისაკენ. ამაკვარათ იყო მაშინ საქმე და კომუნისტები ეხლაც ამბობენ: იქ, აღმოსავლეთში, სადაც ჯერ არ მომწიფებულა პირობები პროლეტარიატის დიქტატურისათვის,—იაპონია ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ რევოლიუციას განიცდის, ჯერ ეს დგას მის დღის წესრიგში,—იქ ჩვენ ამას მოვითხოვთო. როგორაცვე იქ გაკოტრდება ბურჟუაზია, ჩვენ გავსწევთ პროლეტარიატის დიქტატურისაკენ. მაგრამ ეს კერძო შენიშვნაა. ეხლა კი შემდეგ, ჩვენი საქმეების შესახებ, მარქსის შესახებ. კი არა, —ჩემი პირადი შენიშვნის შესახებ ფარნიევი ამბობდა, რომ მე ტყუილათ ვაბრალებდი მუშებს „ობორონცობას“, რომ ქართველი მუშები „ობორონცობის“ წინააღმდეგი იყვენონ. უნდა ვთქვა, რომ ფარნიევს არ წაუკითხავს, ან ყურადღებით არ წაუკითხავს ის წიგნაკი საქართველოს მენშევიზმის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც გავრცელებული იყო აქ და ჩემი მოხსენება მოსკოველ პასუხისმგებელ მუშაკების წინაშე. მე იქ ხაზგასმით ავიღენშე, რომ როდესაც ერდანიამ აამაღლა აქ „ობორონცობის“ დროშა, ქართველი მუშები პროტესტს აცხადებენ ამის წინააღმდეგ. ასე ვამბობდი მე და ეს დასტამბულიც არის. მაგრამ ეს აჯანყება დახშული იყო, —აი რას ვამბობდი მე. ხუმება აღშფოთდენ:— როგორ, ის ნოე ერდანია, რომელიც ჩვენ ინტერნაციონალიზმს გვასწავლიდა, უეცრათ სოციალ-პატრიოტი გახდა და მოითხოვს, რომ ჩვენ ბოლშევიკებიკ კი მივიდა, ვიბრძოლოთ იმპერიალისტურ ომშიო! არა ჩვენ ამას ვერ დავუჯერებთ, ამას არ ჩავიდენთო. მე ვწერდი და ვამბობდი ამაზე საქმე იქამდინაც კი მივიდა, რომ ერდანიამ ნება არ მომცა, ეს ეს ეს ... ეს ... ეს ...

ვუპასუხებთ მკითხველებს

სადგურ გურჯაანის სამკითხველო

(წერილი პროვინციიდან.)

ამა წლის აპრილში სადგურ გურჯაანში გაიხსნა სამკითხველო, რომელიც დიდძალ მკითხველს, რკინის გზის და მთელ რაიონის მუშა-მოსამსახურეებს იზიდავდა. ივლისის განმავლობაში მკითხველთა რიცხვი 400 კაცამდე ავიდა. სამკითხველოში მოიპოვება ყველა ადგილობრივი რუსულ-ქართული გაზეთები, რომელთა შორის, სამწუხაროდ, ზოგიერთი, მაგ. „კომუნისტი“ არ მოდის სისტემატიურად, მაგალითად არ მოსულა ის მთელ ივლისის განმავლობაში, გაზეთების გაოდა სამკითხველო აწვდის მკითხველ საზოგადოებას აგრეთვე პოლიტიკურ და ლიტერატურულ ხასიათის ბროშიურებსაც.

წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაციაშიც ღებულობდა სამკითხველო მონაწილეობას შეძლებისდაგვარად. ჩაწერილთა საერთო რაოდენობიდან – 70 პროცენტმა, უკვე შეითვისა ორი თვის განმავლობაში წერა-კითხვა იმდენად, რომ ეხლა ხარბად ეტანებიან პრესას და განსაკუთრებით პოლიტიკურ ბროშიურებს.

მთავარი მამძრავებელი ძალა სამკითხველოს ნაყოფიერი მუშაობისა არის მისი გამგე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი მატერიალური მდგომარეობა არა სახარბიელოა მისი მეტად მცირე ჯამაგირის გამო, რაც დიდად შემაფერხებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მის მიერ უდიდესი ენერგიის გამოჩენის საქმეში.

ამჟამად სამკითხველო – უკვე, ორი კვირაზე მეტია, რაც დახურულია. მას ჩამოართვეს ავიჯ ულება, რომელიც გადიტანეს „მილაანის“ ბუფეტში. ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევს მკითხველ მუშა-მოსამსახურეთა შორის საჭიროა ამას მიეცეს სერიოზული ყურადღება, ვინაგანაც ჯერ არს, რათა სამკითხველო კვლავ საჩქაროდ იქნეს გახსნილი, რადგან მის ირგვლივ თავს იყრის კულტურულ განვითარების დიდად მოსურნე 200-მდე რკინიგზელი და სხვა მშრომელთა მასსა.

მუშკორი ლომისელი.

ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილებაში

(ივლისის თვის ანგარიშებიდან)

გასულ ივლისის თვეში ლითონის განყოფილების ხუთივე ქარხანა: სპილენძის სატკეცი ქარხანა, 26 კომუნარის სახელობის მანქანათ საშენი და თუჯის სასხმო ქარხანა, პირველი ავტო სახელოსნო, მე-2რე საბჭოთა ქარხანა და ელექტრონის სადგური პირველ ქარხანასთან მყოფი, მუშაობდა სრულად.

თვის ბოლოში, საერთო რიცხვი ლითონის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებისა შეადგენდა 424 კაცს, აქედან სამმართველოში ირიცხებოდა 53 თანამშრომელი, ადმინისტრატიულ, ტექნიკურ—კანტორის პერსონალი შეადგენდა 45 თანამშრ. მშარმოებელი მუშა – 263, არა მუშარმოებელი—45.

გაცდენა ქარხ.-სახელოსნოებში საკმაოდ დაეცა, თუთებერვალში შეადგენდა 2 პროც. ივლისში დაეცა 1,3 პროც.-მდე. ხელფასის ყველა სახით დასაკმაყოფილებლად. როგორც სამმართველოზე, ისე წარმოებებზე გაცემულ იქნა 32.847 მილიონი მან. ანუ 12 044 საქონლის მანეთი.

სათხრობი მასალა ამ თვეში დარჩა გამოურკვეველი. ნახდირის უკანასკნელი მარქაფი დახარჯულია, რის გამოც „ლონბასში“ გაგზავნილია კოლეგიის წევრი 3000 ფუთი ნახდირის შესასყიდად. დიდს საჭიროებას წარმოადგენს წარმოებისათვის „ხარისსული“ რკინა და ფოლადი, რაც განყოფილებას მოეპოება ცოტა. ქარხანა-სახელოსნოები უზრუნველყოფილი არიან დაკვეთებით ოქტომბრის ბოლომდე. საერთოდ ლითონის განყოფილების დგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ეტყობა წარმატება და წინსვლა.

მუშკორი მელითონე.

ქიათურის მაღაროს მუშეგი.

ქიათურის შავი ქვის მაღაროებზე მუშაობს სამასამდე მუშა. მუშაობა განსაზღვრულია რვა საათით. მუშები იღებენ ჯამაგირს 4 – 5 მილიონს დღეში. ჰყავთ თავიანთი გულშემატკივარი ადგილკომი, რომლის მოღვაწეობით აქვთ მუშებს საკუთარი აბანო, სამკითხველო და საავადმყოფო. ტეხნიკურ მოწყობილებით თითო მუშას გამოაქვს მაღაროდან 50 —100 ფუთამდე შავიქვა. საკვირველად არის ჰაერში მოწყობილი ერთი მთიდან მეორე მთაზე შავი ქვის გადასაზიდი მანქანები. აქ არის აგრეთვე მაღაროდან ამოტანილ შავი ქვის გასარეცხი მანქანა, რომელიც ამ უკანასკნელ დრომდის იყო. ეს მანქანა რეცხავს დღეში ათას ფუთს შავქვას. ყოველ ცისმარა დღეს სადაკრ ჭიათურიდან რკინიგზის ვაგონებით იგზავნება ფოთის მიმართულებით საზღვარგარეთ დღეში შვიდას ვაგონამდე. ამ უზარმაზარ წარმოების აპერაციას აწარმოებს „ზემოს“ საალეიერო საზოგადოება. ამ საზოგადოების გარდა არიან აგრეთვე კერძო პირებიც, რომელთაც აქვთ თავიანთი საკუთარი პატარა მაღაროები და რომელთაც ისინი საკუთარ ძალებით ამუშავებენ მოაქვთ ურმებით ადგილობრივ „ზემოს“ კანტორაში და იქ წინასწარ განსაზღვრულ ფასზე ყიდიან. მართალია, მაღაროებში მუშაობა ძნელია, მაგრამ როგორც ადგილკომი, ისეც ადმინისტრაცია დიდს ყურადღებას აქცევენ მუშებს და იქაური მუშები ყოველმხრივ კმაყოფილნი არიან. მათი განწყობილება ნამდვილად მეგობრულია და თავაზიანიც და ამიტომ მათი შრომაც ნაყოფიერია.

მუშკორი გი-გი ჩა—შვილი.

ჩვენს მილიციაში.

ამა წლის 12 აგვისტოს მუშათა სასახლეში შესდგა კრება ტფილისის მ | გ მილიციის 1, 2, 3, 4 და 13 რაიონების თანამშრომლებისა, სადაც დაიწერა მთელი საგუშაგოდან ი ავი. სუფალი შემადგენლობა. კრება გახსნა მილიციის კომუჯრედის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. მ. დანელიამ. კრებას თავმჯდომარედ ერთხმად ამოირჩეენი იქნა ამხ. ხმალაძე, მდივნად ამხ. კიღურაძე. დღის წესრიგში იყო: 1) ამხ. ჟვანიას მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობაზე და 2) სამსახურის მოვალეობის შეგნებით და მიზან-შეწონილობით ასრულების შესახებ.

ამხ. ჟვანიამ აღნიშნა რა ის ბრძოლის ეტაპები, რომელიც აწარმოვა საბჭოთა მთავრობამ შინაურ და გარეშე მტრების წინააღმდეგ, მიუთითა დამსწრე ამხანაგებს იმ ახალ მიმართულებაზე ბრძოლისა და ომის საქმეში, რომელმაც მაგრად მოიკიდა ფეხი დასავლეთ ევროპაში. შემდეგ ამხ. ჟვანიამ მიუთითა კრებას საჰაერო ფლოტის მნიშვნელობაზე ეკონომიურ და კულტურულ სფეროებში და მოუწოდა გაეღოთ მის სასარგებლოდ შემოწირულება.

საერთო კრებამ მოისმინა რა საჰაერო ფლოტის მნიშვნელობაზე ამხ. ჟვანიას ვრცელი მოხსენება, ერთხმად დაადგინა:

„ძლიერი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის საბჭოთა რესპუბლიკების კულტურულ, ეკონომიურ და საბრძოლო მდგომარეობა აუცილებელს ხდის დაუყოვნებლივ შეექმნათ ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით გაუმჯობესებული ჰაეროსტატები და ყველა შეგნებული მუშა და გლეხთ მოუწოდებთ ჩაეწერონ საჰაერო ფლოტის საზოგადოების წევრებად ფლოტის საზოგაოოების წევრებად და შეიძინონ თითოეულმა ამ საზოგადოების ერთ მანეთიანი ობლიგაციები“.

მეორე საკითხზე მოკლე მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. ხმალაძე და კიღურაძე, რომლებმაც აღნიშნეს, რომ თუ მილიციონერი გამუდმებითი შრომით არ შეიძენს საერთო ცოდნას არსებულ კანონის შესასწავლად, ის ვერ იქნება მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ღირსი დარაჯი, რის გამო მომხსენებლებმა მოუწოდეს ამხ. მილიციონერებს ამ მიზნისათვის მოკიდონ ხელი სწავლას მათი უფროსების ხელმძღვანელობით, ამისათვის ყოველკვირეულად წარმოებულ სამეცადინო საათების განმავლობაში.

მუშა დანელია.

ახირებული წიგნთ-საპაზარი სახელოსნო

(განათლების კომისარიატის და პროფკავშირის საყურადღებოდ).

აღნიშნული სახელოსნო ეკუთვნის განათლების სახ. კომისარიატს.

ახირებულია ეს სახელოსნო და მისი ადმინისტრაცია.

გამგის დღევანდელი ცხოვრების ავან-ჩავნი არ ესმის, ის მუშებს ძველებურად ეჭცევა.

ამ სახელოსნოში მუშებისთვის ერთი კანონია დაწესებული, მოსამსახურეთათვის სხვა.

მუშამ რომ ათი წუთით დაიგვიანოს, მაშინვე ძლევამოსილი გამგე ჯარიმას დაადებს და ჯამაგირიდან ფულს გამოუქვითავს.

მის კანცელარიაში მომუშავე „ძმაბიეებისთვის“ ეს წესი სრულიად არ არსებობს

თვით გამგეს კი, როდესაც უნდა მაშინ მოვა სამსახურში, როდესაც უნდა წავა.

აქ ერთი მოანგარიშე მთელი დღის განმავლობაში სრულიად არ გამოცხადებულა სამსახურში.

რასაკვირველია, ის ავად არ იყო.

ადგილობრივმა კომიტეტმა გაბედა მისი შენიშვნის დაფაზე გამოცხადება, მაგრამ მეორე დღეს მოსულმა ბუღალტერმა საშინელი ლანძღვა-გინება ასტეხა შესახებ იმისა, თუ როგორ გაბედეო და რისთვის დამაჯარიმესო. ამისთანა მოვლენები ამ სახელოსნოში ხდება, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

მუშკორი პა—ხ.

ჩვენს ადგილკომეგში

სახალ. კვების კავშირის 1 რაიადგილკომი.

(მისი მუშაობის მიმოხილვა ა. წ. აპრილიდან—აგვისტომდე)

ხსენებული ადგილკომი შესდგება 5 ამხანაგისგან; შრომის დაცვის დარგში მუშაობს 2 ამხ; კულტ. კომისიაშიც—2 და სარევიზიო კომისია 3 ამხანაგისაგან შესდგება.

— **ორგანიზაციული მუშაობა.** ამ ხნის განმავლობაში ადგილკომს ჰქონია 16 სხდომა, რომლებზედაც მრავალი საკითხია გარჩეული როგორც მაგ.: ჯამაგირების საკითხი, შვებულების, შტატების შემოკლების, მუშების დამქირავებელთა მიერ შეურაცყოფის, კულტურული მუშაობის, წარმოების და სხვ.

მუშათა საერთო კრება მოიმხდარა 4 ჯერ.

— **სატარიფო მუშაობა.** რაიონში არის შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია, რომელსაც ამ დროის განმავლობაში 12 სხდომა ჰქონია და გაურჩევია 30 საკითხი. დამქირავებლებთან დადებულია სატარიფო შეთანხმება, მხოლოდ დარჩენილია 7 დამქირავებელი, სადაც მუშაობს 20-მდე კაცი.

1 ხარისხის განაკვეთი 9 საქ. მანეთით.

ჯამაგირების შესახებ მუშებსა და დამქირავებლებს შორის აღძრულა 47 საკ.

რაიონში სულ არ ს 61 დაწესებულება—დამქირავებელი. მუშათა საერთო რიცხვი არის 478, რომელთაგან 196 მამაკაცია და 282 ქალი.

ურთიერთ დამმარე კასის წევრი 161-ია, მუშათა მთლიანი კოოპერატივის კი 130.

— **შრომის დაცვის დარგში მუშაობა.** შრომის დაცვას საკმარისი ყურადღება აქვს მიქცეული. შრომის ინსპექტორთან ერთად შრომის ექსპლოატატორებზე შედგენილია 14 ოქმი, რომლებიც გადაცმულია სასამართლოსთვის.

შრომის კომისარიატის, საკონფ განყოფილებაში გადაგზავნილი იყო 14 საკითხი, რომლებიც მუშების სასარგებლოდაა გადაწყვეტილი; ადგილობრივ გაჩერებულია 21 საკითხი.

დაზღვეულია 190 კაცი. გაგზავნილია დასასვენებელ სახლებში 9 და საავადმყოფო კასაში 78 საბინაო დახმარება აღმოჩენა 3 მუშას.

— **კულტ-მუშაობა.** რაიონში იყო 38 კაცისგან შემდგარი წ. კ. უკლუბინარობის სკოლა, რომელიც 15 აგვისტოდან დროებით დაკეტილია. გამოწერილია როგორც ქართული, ისე რუსული გაზეთები, მომლერალთა წრეში ჩაწერილია 21 კაცი; პროფკავშირთა კლუბში 28, მის სამკითხველოში 7 და მუშათა ფაკულტეტზე გაგზავნილია 3 კაცი.

ადგილკომის მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური, პროფესიონალური და სხვა კულტურული მუშაობა ძალიან სუსტობს, რაც უნდა დაყენებულ იქნეს შესაფერ დონეზე. ამასთანავე საჭიროა, ადგილკომმა მეტი ზომები მიიღოს, რათა მუშათა მთლიან კოოპერატივში და საერთიერთო დამმარე და დამზღვევე კასებში რაიონიდან უფრო მეტი წევრი შედიოდეს.

მუშკორი ველი.

დადგენილება № 33

ს. ხ. ხ. რ. შრომის სახალხო კომისარიატის.

25 აგვისტო 1923 წ.

1923 წლის აგვისტოს თვეში შრომის ხელფასის მაქსიმუმის შესახებ.

თანახმად ა | კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 14 ივნისის დადგენილებისა ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესდეს აგვისტოს თვეში საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სახელმწიფო და სახელმწიფოდან რესურსების მიმღებ წარმოება-დაწესებულებებში შრომის ხელფასის მაქსიმუმი 750 (შვიდას ორმოცდა ათი) მილიონი მანეთის როდენობით ა | კ. ფულის ნიშნებით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ მაქსიმუმის შრომის ხელფასი შედის შრომის დაჯილდოების ყველა სახეები მათ რიცხვში ჯამაგირი, ზედმეტი მუშაობის, შეთავსების, საკონსულტაციო ჯილდო და სხვა.

შენიშვნა: მაქსიმუმის ანგარიშში არ შედის მხოლოდ—ჯილდო ცალკე ლიტერატურული, მეცნიერული, არტისტიული, გამოგონების და მხატვრული შრომისა და აგრეთვე ტანტიემა.

3. შუამდგომლობანი ცალკე უმაღლეს კვალიფიციურ სპეციალისტთა თვის მაქსიმუმზე ზევით ჯილდოს გაწესების შესახებ ა | კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 7 ივნისის დადგენილების თანახმად უნდა გაიგზავნოს ა | კ. სახალხო კომისარიატთან არსებულ „პასუხისმგებელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ხელფასის დამწესებელ კომისიაში“, რომელიც უკანასკნელს თავის დასკვნითურთ აგზავნის ა | კ. სახალხო კომისართა საბჭოში.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი: **დუმბაძე.**

საერთო საორგ. განყ. გამგე: **ჟურდოვანიძე,**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— ტყიბულის მაღაროს მუშას ამხ. ჩიკვინაიას ეუწყება, რომ იგი შეიძლება ჩარიცხული იქმნას ქართულ მუშათა ფაკულტეტზე უსტაპენდიოთ.

მდივანი **მ ე გ ე ი შ ვ ი ლ ი.**

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იწვევს ახალქალაქის სამაზრო კომიტეტის მდივანს ამხ თაყაიშვილს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მდივანი **მ ე გ ე ი შ ვ ი ლ ი.**

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 29 აგვისტოს, სრულ საღამოს 5 საათზე, მე-3 საუბნო კომიტეტის ბინაზე დანიშნულია გაფართოებული პლენუმი მე-3 საუბნო კომიტეტისა, უჯრედების მდივნების, დელეგატებისა და უჯრედების ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

მდივანი **ვ ა რ თ ა პ ე ტ ი ა ნ ი.**

— ოთხშაბათს, 29 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პროსპ. № 123)

დანიშნულია სრულიად საქალაქო დელეგატთა კრება.

წინადადება ეძლევა ქალთა განყოფილების ყველა ორგანიზატორებს და დელეგატ ქალებს გამოცხადდენ კრებაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალთა განყოფილება.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს პასუხისმგებელ ამხანაგებს, რომლებიც ღებულობენ 75 საქონლის მანეთის ზევით და არ შემოუტანიათ ზედმეტი 50 პროც. ივნისისა და ივლისის თვეებისა, წარმოადგინონ იგი 1 სექტემბრამდე ამ წლისა ტფილისის კომიტეტის ურთიერთ დახმარების სალაროში.

ვინც აღნიშნულ ვადისათვის ფულს არ შემოიტანს, იმათი გვარები გადაეცემა საკონტროლო კომისიას.

ტფილისის კომიტეტის მდივანი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე 4-ე უბნის ყველა უჯრედებს

— სოფელზე ქალაქის საშეფო მოღვაწეობის ჯამის გამოსაყვანად საქ. კომ. პარტ. ტფილისის ორგანიზაცია იწვევს შაბათს, 29 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, საუბნო კომიტეტის ბინაზე.

საშეფო კომისიებისა, ყველა უჯრედების წარმოებათა და დაწესებულებათა კერძო რწმუნებულების გ ა ფ ა რ თ ო ებ ულ თ ა თ ბ ი რ ს უჯრედების მდივნების თანადასწრებით.

ყველა ამხანაგებს წინადადება ეძლევა წინდაწინვე დაამზადოს წერილობითი მოხსენება შესარულებულ მოღვაწეობისა და მოამაგალ სამოქმედო გეგმის შესახებ.

ყველა ზემოხსენებულ ამხანაგებს დასწრება სავალდებულოა პარტიული დისციპლინის წესით.

პასუხისმგებელი მდივანი **ხ ა ც ე ვ ი ჩ ი.**

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში იბარებს ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის მე-2 უჯრედის წევრს ამხ. კ. დ. ხოშტარიას, თანამად მისი განცხადებისა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში შესვლის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მდივანი **მ ე გ ე ნ ე ი შ ვ ი ლ ი.**

ხაქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა ხაოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

ცენტრალური კომიტეტი გაუწყებთ, რომ მიმდინარე აკადემიურ წლისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში დაწესებულია 130 სტიპენდია, აქედან სახელმწიფო უნივერსიტეტში 90 და პოლიტეხნიკუმში—40.

სტიპენდიების განაწილება:

№ №	სამაზრო კომიტ. დასახელება.	სახელმწიფო უნივერსიტეტში.	პოლიტეხნიკუმში.
1	ახალქალაქის სამაზ. კომ.	1	2
2	ახალციხის „	2	1
3	ბ-რჩალოს „	1	1
4	გორის „	4	1
5	დუშეთის „	2	1
6	თიანეთის „	2	1
7	თელავის „	3	1
8	სიღნაღის „	2	1
9	ქუთაისის „	12	2
10	შორაპნის „	6	2
11	ოზურგეთის „	8	2
12	სენაკის „	6	1
13	ზუგდიდის „	3	1
14	ლეჩხუმის „	1	1
15	ფოთის „	3	1
16	რაჭის „	5	1
17	ს. კ პ. ტფ. კომ. (მაზრ.)	15	8
18	აჭარის სოლქო კომიტ.	8	4
19	სამხ.-ოსეთ. საოლქო კომ.	2	4
20	აფხაზეთის „	4	4
		90	40

1. სტიპენდიანტების გასანაწილებლად პარტკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებთან ეწყობა კომისიები, რომლებშიც შედიან: პროფესიონალური ორგანიზაციების, ახალგაზრდობის კომკავშირის, სახალხო განათლების განყოფილების და პოლიტიკური განათლების განყოფილების წარმომადგენელები.

ა) სტიპენდიები განაწილებული უნდა იქნენ კომუნისტურ პარტიასა, ახალგაზრდობის კომკავშირსა და უპარტიოებს შორის.

ბ) იგზავნებიან ისეთი პირები, რომლებიც უეჭველად, არიან პატიოსნები, ნიჭიერები და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულები.

გ) სტიპენდიები ეძლევათ მხოლოდ პირველ კურსზე ჩასარიცხებს.

დ) გამოგზავნილები ღებულობენ სტიპენდიას 15 საქონლის მანეთის რაოდენობით თვიურად და სხვა რაშე უზრუნველყოფა მათ არ ეძლევათ.

სტიპენდიანტები იგზავნებიან განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ადგილობრივ სახალხო განათლების განყოფილებათათვის მიცემულ ადგილების რიცხვიდან.

2. ყველა დანარჩენ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოთ უმაღლეს სასწავლებელში მიღების პირობებით, რომლებიც დაგზავნილია განათლების სახალხო კომისარიატის მიერ სამაზრო სახალხო განათლების განყოფილებებისადმი.

ს. კ. პ. ტ. კ. მდივანი **ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი.**

ტ. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: **კ ვ ი რ ი კ ა ძ ე.**

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. თომა არზომანდრიტოვს და კარაპეტ მეფკონიანს, გამოცხადდნენ სასი ლოს ... ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის აღმრიცხავ ქვე-განყოფილებაში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **რ უ ბ ე ნ ი.**

— ს. ა. კ. კ. ცეკას საადიცხვო-სასტატისტიკო ... ამ. ... ამ. გრიგოლ კაპანაძეს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ... ...